გიორგი ბარამია

დაბადების თარიღი და ადგილი :

25 თებერვალი 1966, სოხუმი, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ;

განათლება :

1982 – დაამთავრა სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა;

1987 – დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგრომელიორაციის სპეციალობით;

1988-1991 – სწავლობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან არსებული ასპირანტურის განყოფილებაში. მუშაობდა სადისერტაციო თემაზე, აგროქიმიის განხრით;

2005 – დაამთავრა საქართველოს შრომის და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი წარმოების ორგანიზაციის და მართვის სპეციალობით. მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია;

2006 – სწავლობდა გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტერკირხენში, ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპული უსაფრთხოების კვლევის ცენტრში;

2012 – გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტერკირხენში, ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპული უსაფრთხოების კვლევის ცენტრში გაიარა სასწავლო პროგრამა „ტერორიზმი და უსაფრთხოება“ (PTSS);

2013 – გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტერკირხენში, ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპული უსაფრთხოების კვლევის ცენტრში გაიარა სასწავლო სემინარი მაღალი თანამდებობის პირთათვის (SES) თემაზე: „ცენტრალური აზია საერთაშორისო უსაფრთხოების დამხმარე ძალების (ISAF) ტრანზაციის შემდგომ: რეგიონალური გამოწვევები და კოოპერირებული რეაგირება“ ;

სამუშაო გამოცდილება :

1988-1991 – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება, აგრომელიორაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

1991-1993 – გულრიფშის რაიონის საგადასახადო სამსახურის უფროსის მოადგილე;

1996-2003 – სოხუმის რაიონის საპარლამენტო წარმომადგენლობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე;

2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სამდივნო დეპარტამენტის მრჩეველი;

2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო უსაფრთხოების და პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მრჩეველი;

2006 წლის მარტი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის აპარატის მრჩეველი;

2007 – საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის მრჩეველი;

2007-2009 – საქართველოს კონსული ქ. სალონიკში, საბერძნეთის რესპუბლიკაში;

2009 წლის 15 ივნისი – 2013 წლის 8 აპრილი – აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე;

დიპლომატიური რანგი: მრჩეველი

ფლობს ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი;